დამტკიცებულია

თსას-ის რექტორის

2014 წლის 12 სექტემბრის №27 ბრძანებით

ა(ა)იპ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესი

თავი I.
საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1.1 საგანამანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანამნათლებლო დაწესებულების თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდგომში – თსას) მისიას.

1.2 საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

დ) სწავლების ენა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების შეძენისა და დასაქმების სფეროს განსაზღვრისათვის;

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;

ზ) სწავლის შედეგი;

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
კ) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
ლ) პროგრამის განხორციელების კოორდინატორი;
მ) სწავლის შედეგების რუკა.
1.3 პროგრამას თან უნდა ახლდეს:
ა) სასწავლო კურსის სილაბუსები;
ბ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ;
გ) ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ;
დ) პროგრამის დამტკიცების აქტი;
ე) პროგრამის სასწავლო გეგმა პირობითი სემესტრების მიხედვით;
ვ) პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის ფინანსური გეგმა.

2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

2.1 პროგრამას უნდა ჰქონდეს სახელწოდება, რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
2.2 პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით;
2.3 მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;
2.4. მესამე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „დოქტორი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

3.1. საბაკალავრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტის, სამაგისტრო პროგრამისა - არანაკლებ 120 კრედიტის ოდენობით, ხოლო სადოქტორო პროგრამისა არანაკლებ - 180კრედიტის ოდენობით;
3.2 ძირითად მაპროფილებელ სპეციალობას, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი, ხოლო რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში – 180 კრედიტი;
3.3. სასწავლებელში აკადემიური წელი შედგება ორი სასწავლო სემესტრისგან, თითოეული სემესტრი შედგება 17 სასწავლო კვირისგან. სტუდენტის დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში საშუალოდ უნდა მოიცავდეს არაუმეტეს 75 კრედიტს. ერთი კრედიტი მოიცავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას 25 ასტრონომიული საათის განმავლობაში;

3.4. თსას-ში ყველა სასწავლო კურსი არის მინიმუმ ერთსემესტრიანი;

3.5. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია:
ა) სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები;
ბ) პრაქტიკა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.6. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია:
ა) სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები;
ბ) სემინარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
გ) სამაგისტრო ნაშრომი.

3.7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია:
ა) სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები;
ბ) სემინარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
გ) სადისერტაციო ნაშრომი.

3.7. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოფდეს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

4. სწავლების ენა

4.1. პროგრამაში უნდა მიეთითოს, რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა.

5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

5.1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

5.2. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს და მასზე დაშვების აუცილებელი წინაპირობაა სასწავლებლის მიერ დადგენილი შიდა გამოცდებისა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩატარება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

5.2.1 აბიტურიენტებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

5.2.2 სტუდენტებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 ან მეტი წლის განმავლობაში და სწავლობდნენ უცხო ქვეყანის საგანმნათლებლო დაწესებულებაში, იმავე ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად;

5.3 სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს (ვაჟებს). მიღების აუცილებელი წინაპირობაა სასწავლებლის მიერ დადგენილი შიდა სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარება;

5.4. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებს (ვაჟებს). მიღების აუცილებელი წინაპირობაა სასწავლებლის მიერ დადგენილი შიდა სადოქტორო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

6. სწავლის შედეგი

6.1. სწავლის შედეგი უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციისა და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ;

6.2. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად;

6.3 პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს ორიენტირებული კურსდამთავრებულთა მიერ მაღალი კვალიფიკაციის მიღებაზე (კონკურენტუნარიანობაზე) საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე), ეკლესიის წიაღში თუ საერო მიმართულებით დასაქმებაზე.

7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

8. სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა

სასწავლებელში მოქმედებს სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც დადგენილია თსას-ის მარეგულირებელი წესით.

9. სასწავლო გეგმა

9.1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომლის დაძლევის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კრედიტი;

9.2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სასწავლებლის მიერ მინიჭებული კოდი, სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, სტუდენტის დატვირთვის სახეები (ასტრონომიული საათებით);

9.3. სტუდენტის საქმიანობა (დატვირთვა) შეიძლება მოიცავდეს:

ა) ლექციაზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას ან პრაქტიკულ მეცადინეობას;

ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას;

გ) სწავლებას და/ ან პრაქტიკას;

დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას;

ე) სასწავლო-სამეცნიერო (მაგალითად: საბაკალავრო, სამაგისტრო ან სასემინარო ნაშრომზე მუშაობას);

ვ) სასწავლო-სამეცნიერო ნაშრომის დაცვას;

ზ) შემოქმედებით პროექტზე მუშაობას;

თ) სხვა დატვირთვას, რომლითაც მიიღწევა სწავლის შედეგები (დანართი N 1).

10. სწავლის შედეგების რუკა

სწავლის შედეგების რუკა მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათს ურთიერთმიმართებას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან (დანართი N 2).

11. სასწავლო კურსის სილაბუსი

11.1 სასწავლო კურსის სილაბუსი უნდა შეესაბამებოდეს თსას-ის მიერ დამტკიცებულ სილაბუსის ფორმას.

11.2 თუ სასწავლო კურსს ერთდროულად ახორციელებს რამდენიმე ლექტორი, თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ადგენს სასწავლო კურსის სილაბუსს;

12. სასწავლო კურსის კოდი

12.1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების აბრევიატურაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების სამ ლათინურ ასოს დამატებული „B“;

12.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების აბრევიატურაა შესაბამისი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების სამ ლათინურ ასოს დამატებული „M“;
12.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსების აბრევიატურაა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების სამ ლათინურ ასოს დამატებული „D“;
12.3 სპეციალობის ძირითად სასწავლო კურსებს ოთხნიშნა კოდი მიენიჭება შემდეგი წესის დაცვით: პირველი ერთნიშნა ციფრი აღნიშნავს ფაკულტეტის კოდს, შემდეგი ერთნიშნა ციფრი – სემესტრს, ხოლო შემდგომი ორნიშნა ციფრი აღნიშნავს სასწავლო კურსის რიგით ნომერს პროგრამის მიხედვით;
მაგალითად: 1 (სემინარიის ფაკულტეტის კოდი), 7 (სემესტრის ერთნიშნა ნომერი) და 01 (სასწავლო კურსის რიგითი ნომერი პროგრამის მიხედვით).

13. ადამიანური რესურსი

13.1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტი;
13.2. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით ან პროფესიული გამოცდილებით;
13.3. 13.3 პროგრამას თან უნდა დაერთოს მონაცემები: პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის გვარი და სახელი, თანამდებობა, პროგრამაში ჩართულობის ვადა (დანართი N 3).

14. პროგრამის კოორდინატორი

14.1 პროგრამის კოორდინატორია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტებთან და ხარისხის მართვის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს;
14.2. პროგრამის კოორდინატორს ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები და ევალება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით;
14.3. პროგრამის კოორდინატორს ევალება: მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, გაუწიოს მათ კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სხვ.

15. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამას უნდა დაერთოს რექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის

გეგმა.

16. სასწავლო გეგმა პირობითი სემესტრების მიხედვით

16.1 სტუდენტისათვის საკუთარი პროფილის შექმნის ხელშეწყობის მიზნით, პროგრამას უნდა დაერთოს სასწავლო გეგმა პირობითი სემესტრების მითითებით (დანართი N4).

16.2 სასწავლო კურსების სემესტრების მიხედვით განაწილება პირობითია და მისი ერთადერთი მიზანია სტუდენტისათვის წლიური დატვირთვის გეგმის შედგენის ხელშეწყობა;

16.1 სასწავლო გეგმაში სტუდენტის სემესტრული დატვირთვა საშუალოდ 30 კრედიტს უნდა შეადგენდეს, შესაბამისად, წლიური შესაძლოა მცირედით აღემატებოდეს 60 კრედიტს.

17. სოციოლოგიური კვლევა

პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში უნდა იყვნენ ჩართულნი დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები).

თავი II. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

18. პროგრამის განხილვა

18.1 ამ წესის დაცვით შემუშავებულ პროგრამას ფაკულტეტის დეკანი დასკვნისათვის გადასცემს ხარისხის მართვის სამსახურს.

19. პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან

19.1. ხარისხის მართვის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას თსას-ის აქტებსა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ხარისხის მართვის სამსახური ადგენს დასკვნას თსას-ის;

19.2 ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს, რომელიც, პროგრამის დამტკიცების მიზნით, შუამდგომლობით მიმართავს რექტორს სამეცნიერო საბჭოს მოწვევის თაობაზე;

19.3. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს გადასამუშავებლად. საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშავებულ ვარიანტს, ხარისხის მართვის სამსახურთან შეთანხმებით, დეკანი დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს.

მუხლი 20. პროგრამის დამტკიცება

პროგრამას ამტკიცებს თსას-ის სამეცნიერო საბჭო.

მუხლი 21. პროგრამაში ცვლილების შეტანა / გაუქმება

20.1. პროგრამაში ცვლილების შეტანა/გაუქმება ხორციელდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად;

20.2. საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გადამუშავება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, სულ მცირე 2 თვით ადრე;

20.3. სასწავლებელში ყოველ სასწავლო წელს მიღებული სტუდენტისათვის მოქმედებს საქართველოს საპატრიარქოს მოთხოვნებზე ორიენტირებული ერთიანი პროგრამა.

სასწავლო გეგმა										
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი (ძირითადი კურსები)										
					საათების განაწილება					
			ECTS კრედიტი		ლექცია/ პრაქტიკული (ჯგუფური მუშაობა;	დამოუკიდებელი მუშაობა	გამოკითხვა	შუალედური და დასკვნითი გამოცდა	პრაქტიკა ან სამაგისტრო ნაშრომი	სულ საათების ოდენობა
№	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება		პრერეკვიზიტი						
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										
9										
10										
11										
12										
13										
14										
15										
16										
17										
18										
19										
20										

სწავლის შედეგების რუკა

	სასწავლო კურსის დასახელება	სწავლის შედეგები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1		*		*	*	*	
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							
19							
20							

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

N	პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სახელი და გვარი	დაკავებული თანამდებობა	ხელშეკრულების გაფორმების ან თანამდებობაზე არჩევის ვადა
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			
8.			
9.			
10.			
11.			
12.			
13.			
14.			
15.			
16.			
17.			
18.			
19.			
20.			

საგანმანათლებლო პროგრამის *(*სახელწოდება*)* სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კომპონენტი	პირობითი სასწავლო სემესტრი									წინაპირობა
		კრედიტები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სავალდებულო კომპონენტები, მათ შორის:											
სპეციალობის ძირითადი სასწავლო კურსები											
1			X								
2			X								
3				X							
4				X							
5				X							
6					X						
7					X						
8					X						
9					X						
10						X					
11						X					
12						X					
13						X					
14							X				
15							X				
16							X				
17							X				

18								X			
19								X			
20								X			
21								X			
22								X			
23								X			
24									X		
25									X		
26									X		
27									X		
28									X		
29									X		
30										X	
31										X	
32										X	
33										X	
	სულ ჯამი										
	არჩევითი კომპონენეტები, მათ შორის:										

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები

1											
2											
3											
4											
5											

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ათვისების შედეგად სტუდენტი აგროვებს ____კრედიტს. არჩევის ერთადერთი შეზღუდვაა ასარჩევი სასწავლო კურსის გავლის წინაპირობის (პრერეკვიზიტის) არსებობა.